საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის

2021-2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ორგანიზაციის მთავარი მისია მდგომარეობს ადვოკატის პროფესიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებაში, ადვოკატთა იურიდიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

დაარსების დღიდან GLIP-მა 230 პროექტი განახორციელა. ორგანიზაციის წევრებმა 340 მოხსენება წარადგინეს სხვადასხვა კონფერენციების, სიმპოზიუმების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარებისთვის. წევრები ეხმარებიან ასობით ადამიანს, ვისაც იურიდიული მხარდაჭერა სჭირდება საქართველოში.

ასოციაციის თავმჯდომარე - ნინო ლიპარტია

ასოციაციის პრიორიტეტული მიმართულებები

2021-2022 წლის ძირითადი ღონისძიებები

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის თანაორგანიზებით გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა: "მოსამართლეები პასუხობენ სტუდენტების შეკითხვებს "

ღონისძიების თემატიკა ეხებოდა ქალთა უფლებებსა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული განათლების საფეხურის სტუდენტები, ექსტრაკურიკულური აქტივობის „აქტიური მოქალაქეები ადამიანის უფლებებისათვის“ ფარგლებში, იმყოფებოდნენ თბილისის საქალაქო სასამართლო / Tbilisi City Court - ში, სადაც საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველ სასამართლო სხდომას.

სხდომას უძღვებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ქალბატონი ეკა გაბრიჩიძე. სასამართლოში ვიზიტს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“ გამგეობის წევრები იოსებ გაბარაევი და მილერინა მემანიშვილი.

ექსტრაკურიკულური აქტივობა „აქტიური მოქალაქეები ადამიანის უფლებებისათვის“ ხორციელდება პროფესიული უნარების სააგენტო • Skills Agency Georgia -ს მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია • Academy of Business and Technology -ს და საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის მიერ და მიზნად ისახავდა პროფესიულ განათლების საფეხურის სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შრომითი ურთიერთობები, ნაფიცი მსაჯული, როგორც აქტიური მოქალქის თანამონაწილეობის ფორმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ბიზნესის კორპორატიული პასუხისმგებლობის ცალკეული საკითხები.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის, იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრისა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი გერმანიის ქ. ბონში.

- დელეგაციის წევრებისათვის გაიმართა შეხვედრა ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის იურიდიული ფაკულტეტის მედიცინის იურიდიული საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტში პროფესორ ქ-ნ კათარინა ლუგანთან. თემა - მტკიცების ტვირთი მედიცინის სამართალში.
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა - ბ-ნი არნდ ვაისჰაუფთი, დიუსელდორფის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე. #glip #IRZ #LPDC. თემა - ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარების აქტუალური საკითხები".
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა - ბონის შრომის სამართლის საქმეთა სასამართლოში. შეხვედრა სასამართლოს თავდჯომარესთან ბ-ნ ვილფრიდ ლორ-შტაინჰაუსთან. #arbeitsgerichtbonn
- სასწავლო ვიზიტის მეხუთე დღე დაეთმო დაზღვევის ხელშეკრულების ძირითადი ასპექტების შესახებ ლექციას. სპიკერი: ბ-ნი არნდ ვაისჰაუფთი, დიუსელდორფის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე. #glip #IRZ #LPDC
- სასწავლო ვიზიტის ფარგლებში - საპატიო სპიკერად მოწვეული იყო ბ-ნ უვე შთარქი ზინგენის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე.
  თემა:
  ⚖ ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
  ⚖ დანაშაული სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ;
  ⚖ სამედიცინო სისხლის სამართალი;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია • Academy of Business and Technology სთან ერთად ჩატარდა სასწავლო კურსი "აქტიური მოქალაქეები ადამიანის უფლებებისათვის.

სალექციო დღეს უძღვებოდა ტრენერი საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მარიამ სიჭინავა.

ლექციის თემატიკა:

📍დისკრიმინაციის სახეები და ფორმები;

📍დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში- დისკრიმინაციის დეფინიცია, ფორმები და სახეები.

📍სასამართლო გადაწყვეტილების განხილვა და შეფასება შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენის საქმეზე.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#GLIP) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის (#LPDC) ორგანიზებით ქ. ბათუმში, სასტუმრო ჰილტონში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, თემაზე- ,,სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები".

ღონისძიებას უძღვებოდნენ :

◈საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე- მერაბ ტურავა

◈ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე-დავით გელაშვილი

◈საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი- ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

◈ადვოკატი; სამართლის დოქტორი- იოსებ გაბარაევი.

ღონისძიებაზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა :

📌აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საკითხები;

📌საექიმო საქმიანობის პროცესში ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკაციის პრობლემები (მედიცინის სისხლის სამართალი);

📌გაუპატიურების, როგორც ძალადობის ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები;

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ : ადვოკატები და პრაქტიკოსი იურისტები.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#GLIP) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის (#LPDC) სერტიფიკატები.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#GLIP) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრი (#LPDC) და ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია • Academy of Business and Technology-ის ორგანიზებით ქ. თბილისში ჩატარდება HR ფორუმი - ადამიანური რესურების მნიშვნელობა და შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტი.

📍ადამიანური რესურსების მნიშვნელობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

📍ადამიანური რესურსის შერჩევის ტექნიკები;

📍შრომითი უფლები და მათი დაცვის სტანდარტი.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#GLIP) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის (#LPDC) ორგანიზებით ქ. ზუგდიდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე "სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პრობლემური ასპექტები."

შეხვედრაზე განიხილული იქნა შემდეგი საკითხები:

• საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა;

• საპროცესო უზრუნველყოფის ცალკეული სახეობათა პრობლემური ასპექტები;

• საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებათა სააპელაციო კონტროლი და სასამართლო პრაქტიკა.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#GLIP) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის (#LPDC) ორგანიზებით ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართება სემინარი "სანივთო სამართლის ნორმების განმარტება სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე."

შვედური ინსტიტუტის დაფინანსებით და საქართველოში შვედეთის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოში შვედეთის კურსდამთავრებულთა ქსელის ორგანიზებითა და საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის პარტნიორობით ჩატარდა იურიდიული პროფესიების განვითარების ფორუმი.

📝 ღონისძიება მიზნად ისახავდა იურიდიულ პროფესიებში ბოლოდროინდელი, მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების შედეგად არსებული მდგომარეობის და სამომავლო პერსპექტივების გაანალიზება. იურიდიულ პროფესიებში ევროპული სტანდარტების დანერგვის და ევროინტეგრაციის პროცესში მოსალოდნელი სიახლეების შეფასება.

„საქართველოს ადოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ წევრებმა სპეციალური მიწვევით მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში.

ღონისძიება გაიმართა ავსტრიის ქალაქ ვენაში ვენის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სკოლისა და ,,Jean Monet Chair”-ის ეგიდით.

📝 კონფერენციის მთავარ თემას წარმოადგენს ევროკავშირის (შიდა და გარე) საინვესტიციო პოლიტიკის ახალი საზღვრები. მათ შორის საუბარი იყო იმ გამოწვევებზე, რომელიც დღის წესრიგში დადგა ევროკავშირის საერთაშორისო დავებში ჩართულობის შემდეგად.

კონფერენციზე განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

📍 მრავალმხრივი საინვესტიციო სასამართლოს (MIC) ინსტიტუციური მოდელი, როგორც კანონის უზენაესობის პერსპექტივა;

📍 ევროკავშირის საკონსტიტუციო ჩარჩო, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკის საზომი;

- წევრი სახელმწიფოების როლი ევროკავშირის საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკაში;
- ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების (ECT) მოდერნიზაციის პროცესი;
- შედარება ტრადიციული ინვესტიციების დაცვის სტანდარტებსა და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის;
- ევროკავშირის შიდა საინვესტიციო სასამართლოს მიზანშეწონილობა.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (#glip), გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდისა (#IRZ) და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის (#LPDC) ორგანიზებით გაიმართა სემინარი ადვოკატებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის თემაზე: სუბსუმციის ტექნიკა, სამოქალაქო სარჩელის შედგენის ტექნიკა და უხარისხო პროდუქტის პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები.

◈ შეხვედრას წარუძღვა ბ-ნ ულრიჰ ჰაგენლოხი, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის წევრები, სპეციალური მოწვევით მონაწილეობა მიიღეს ევროპის სამართლის ინსტიტუტის 22-ე ყოველწლიურ კონფერენციაში.

ევროპული სამართლის ინსტიტუტის (ELI) 22-ე ყოველწლიური კონფერენცია და შეხვედრები ჩატარდა მადრიდის უნივერსიტეტში (ესპანეთი).

ევროპული სამართლის ინსტიტუტი (ELI) არის დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია კვლევის ინიცირების, ჩატარებისა და ხელშეწყობის, რეკომენდაციების და პრაქტიკული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად ევროპული სამართლებრივი განვითარების მიზნით.

მრავალფეროვანი სამართლებრივი ტრადიციების სიმდიდრეზე დაყრდნობით, მისი მისიაა ევროპაში უკეთესი კანონშემოქმედების ძიება და ევროპული სამართლებრივი ინტეგრაციის გაძლიერება. თავისი ძალისხმევით, ELI ცდილობს წვლილი შეიტანოს ევროპული იურიდიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ლიპარტია ეკონომიკური პოლიტიკსა და რეფორმების ბანაკი მონაწილეებისათვის წაიკითხა ლექციას "სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში".

👉 ეკონომიკური პოლიტიკსა და რეფორმების ბანაკის სესიის პარტნიონია საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის.

◈ „ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ბანაკის“ მიზანია:

✅სტუდენტების ცნობიერების ამაღლება საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესახებ;

✅ახალგაზრდებისთვის თანამედროვე პროფესიების, მათ შორის, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის პროფესიის გაცნობა.

პროექტი ევროპული ბიზნეს ასოციაციის (EBA), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა.

საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესაათვის წევრები შეხვდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (2009-2019 წწ) მოსამართლეს ქალბატონ ნონა წოწორიას.

შეხვედრაზე საუბარი იყო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანის პროცედურებზე, ვადებზე, ეტაპებზე, წესებსა და საჩივრის შევსების თავისებურებებზე. ასევე მიმოხილული იყო სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის წევრები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევრობის საბჭოსა და ევროპის პარლამენტში.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ წვროპის საბჭოს ფორმირების წესს, საქმიანობის სპეციფიკას, მუშაობის პრინციპებსა და მნიშვნელობას.

სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მო მონაწილეები ესტუმრნენ ევროპის პარლამენტს. შეხვედრისას განხილული საკითხები ეხებოდა პარლამენტის წევრების არჩევის წესს, საქმიანობის პრინციპებს, სპეციფიკას და მუშაობის წესს.

საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში ორგანიზაციის წევრები შეხვდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს, ბატონ ლადო ჭანტურიას.

შეხვედრაზე განხილულ იქნა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა. ვისაუბრეთ ბოლო წლებში ამავე სასამართლოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან და პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე.

მეორე სესიის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ჩენი ორგანიზაციის წევრებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქართველ იურისტ, ქალბატონ ნინო ხაინდრავასთან. შეხვედრაზე საუბარი იყო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანის პროცედურებზე, ვადებზე, ეტაპებზე, წესებსა და საჩივრის შევსების თავისებურებებზე.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის #glip, იურიდიული პროფესიის განვითარების ცენtრისა #LPDC და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების #DWV ორგანიზებით ექსკლუზიურად თავის წევრებისთვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა Expert Talk უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, ქალბატონ ნინო ბაქაქურთან.

თემა: „მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გადმოსახედიდან“.

ღონისძიებაზე მიმოხილული იქნა მეწარმეთა შესახებ კანონის ძირითადი ასპექტები და სასამართლო პრაქტიკა.

ნინო ბაქაქური

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის #glip და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება #DWV ექსკლუზიურად თავის წევრები მიიწვია ღონისძიებაზე Expert Talk უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, ქალბატონ ნინო ბაქაქურთან.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესსისთვის #Glip და იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის #lpdc ორგანიზებით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - International Black Sea University_ში გაიმართა კერძო სამართლის სიმპოზიუმი.

📍 შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი სამოქალაქოსამართლებრივი საკითხები როგორც არის: მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემატიკა დელიქტიდან წარმოშობილ დავებში და სამედიცინო დელიქტების სამოქალაქო სამართებრივი ასპექტები.

📍შეხვედრას წარუძღვნენ მოწვეული ტრენერები, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მამაცაშვილი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შორენა წიქარიძე.

📍 შეხვედრას უმასპინძლა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - International Black Sea University #GLIP-თან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.